

საქართველოს სტანდარტი

სსკ: 01.020

ტერმინოლოგიური მუშაობა – პრინციპები და მეთოდები

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის – „ტკ 9, ტერმინოლოგია“ – მიერ.

2 მიღებულია: სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის №46 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის – „ტკ 9, ტერმინოლოგია“ – გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო-ს) სტანდარტის, ისო 704:2022 „ტერმინოლოგიური მუშაობა – პრინციპები და მეთოდები“, იდენტურ თარგმანს (IDT).

4 პირველად

5 რეგისტრირებულია: სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 2024 წლის 24 ივნისი №268-1.1-00499

II

სარჩევი

წინასიტყვაობა	VI
შესავალი	VIII
1 გამოყენების სფერო	1
2 ნორმატიული წყაროები	1
3 ტერმინები და განმარტებები	2
4 რეალობა და ენა	4
5 ცნებები	5
5.1 ზოგადი მიმოხილვა	5
5.2 ზოგადი ცნებები	6
5.3 ინდივიდუალური ცნებები	7
5.4 მახასიათებლები	8
5.4.1 ზოგადი მითითებები	8
5.4.2 ტერმინოლოგიური ანალიზი	9
5.4.3 შინაარსი და მოცულობა	13
5.4.4 არსებითი და არაარსებითი მახასიათებლები	14
5.4.5 საერთო და გამმიჯნავი მახასიათებლები	14
5.5 ცნებების ურთიერთდამოკიდებულება	15
5.5.1 ზოგადი მითითებები	15
5.5.2 სახეობები	15
5.5.3 პირობითი ნიშნები	16
5.5.4 იერარქიული ურთიერთობები	18
5.5.5 ასოციაციური ურთიერთობები	40
5.6 ცნებათა სისტემები	43
5.6.1 ზოგადი მითითებები	43
5.6.2 განვითარება და ვიზუალიზაცია	44
5.6.3 ტიპები	45
6 განმარტებები	54
6.1 ზოგადი მითითებები	54
6.2 შინაარსის დამაზუსტებელი განმარტებები	55
6.3 მოცულობის დამაზუსტებელი განმარტებები	56
6.4 განმარტებების წერა	57
6.4.1 ზოგადი მითითებები	57
6.4.2 შინაარსის დამაზუსტებელი განმარტების ბუნება	57

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

სსტ ისო 704 :2022 /2024

6.4.3	შინაარსის დამაზუსტებელი განმარტების ჩამოყალიბება	59
6.4.4	ჩანაცვლების პრინციპის გამოყენება	67
6.4.5	მოცულობის დამაზუსტებელი განმარტების ჩამოყალიბება	67
6.4.6	დარგის ან დისციპლინის მითითება	70
6.5	არასრულყოფილი განმარტებები	71
6.5.1	ზოგადი მითითებები	71
6.5.2	წრიული განმარტებები	71
6.5.3	არაზუსტი განმარტებები	74
6.5.4	უარყოფითი განმარტებები	75
6.6	ინფორმაციის შემავსებელი ან შემცვლელი განმარტება	78
6.6.1	ზოგადი მითითებები	78
6.6.2	კონტექსტები	79
6.6.3	ენციკლოპედიური აღწერილობები	80
6.6.4	ახსნები	81
6.6.5	შენიშვნები	81
6.6.6	მაგალითები	82
6.6.7	სხვა აღწერილობები	82
6.7	წყაროების მითითება	83
7	სახელები	84
7.1	ზოგადი მითითებები	84
7.2	სახეობები	84
7.3	ტერმინები	85
7.3.1	ზოგადი მითითებები	85
7.3.2	ტერმინთა სახეები	86
7.3.3	დასახელებათა სახეები	86
7.3.4	ნომენკლატურები	86
7.4	საკუთარი სახელები	87
7.4.1	ზოგადი მითითებები	87
7.4.2	სახეები	89
7.5	სიმბოლოები	90
7.6	ტერმინთა (დასახელებების ჩათვლით) და საკუთარ სახელთა წარმოება	92
7.6.1	ზოგადი მითითებები	92
7.6.2	პრინციპები	94
7.7	ურთიერთობა სახელებსა და ცნებებს შორის	100

IV

წინამდებარე სტანდარტის ნებისმიერი ფორმით გავრცელება სააგენტოს ნებართვის გარეშე აკრძალულია

7.7.1	მონონიმია და მონოსემია	100
7.7.2	სინონიმია	100
7.7.3	ეკვივალენტურობა	101
7.7.4	ანტონიმია	101
7.7.5	პოლისემია და ომონიმია	102
7.7.6	ჰარმონიზაცია	103
7.7.7	მისაღებობის შეფასება	103
დანართი A	განმარტებათა სხვა სახეები	105
(საინფორმაციო)		
დანართი B	ტერმინთა შექმნის მეთოდების მაგალითები	114
(საინფორმაციო)		
დანართი C	დასახელებები და საკუთარი სახელები	124
(საინფორმაციო)		
ბიბლიოგრაფია		136

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინასიტყვაობა

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) წარმოადგენს სტანდარტების ეროვნული ორგანოების (ისო-ს წევრი ორგანოები) მსოფლიო ფედერაციას. საერთაშორისო სტანდარტების მომზადების სამუშაოს ასრულებენ, ჩვეულებრივ, ისო-ს ტექნიკური კომიტეტები. ნებისმიერ წევრ ორგანიზაციას, რომელიც დაინტერესებულია იმ სფეროთი, რომლისთვისაც არის დაფუძნებული ტექნიკური კომიტეტი, აქვს უფლება იყოს აღნიშნული კომიტეტის წევრი. საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ისო-სთან შეთანხმებით, ასევე, მონაწილეობენ ამ საქმიანობაში. ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ), ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენებული პროცედურები აღწერილია ისო/იეკ-ის დირექტივების 1-ელ ნაწილში. კერძოდ, აღსანიშნავია სხვადასხვა ტიპის ისო-ს დოკუმენტის დასამტკიცებლად საჭირო სხვადასხვაგვარი კრიტერიუმები. წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ისო/იეკ-ის დირექტივების მე-2 ნაწილში (იხილეთ: www.iso.org/directives) მოცემული სარედაქციო წესების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ შესაძლოა, წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის მიმართ მოქმედებდეს საპატენტო უფლებები. ისო არ არის პასუხისმგებელი ასეთი საპატენტო უფლების დადგენაზე. დეტალები დოკუმენტის შემუშავების პროცესში გამოვლენილი რაიმე საპატენტო უფლების შესახებ წარმოდგენილი იქნება შესავალში ან/და მიღებული საპატენტო დეკლარაციების ისო-ს სიაში (იხილეთ: www.iso.org/patents).

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ნებისმიერი სავაჭრო დასახელება არის ინფორმაცია, მიწოდებული მომხმარებლისთვის მოსახერხებელი პირობების უზრუნველსაყოფად და არ წარმოადგენს რეკლამას.

სტანდარტების ნებაყოფლობითი ბუნების განმარტებისთვის, შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით ისო-ს სპეციალური ცნებებისა და ფრაზების მნიშვნელობისთვის, აგრეთვე, ისო-ს მიერ ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (ტბტ) თაობაზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) პრინციპების დაცვის შესახებ განმარტებებისთვის იხილეთ: www.iso.org/iso/foreword.html.

VI

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ტექნიკური კომიტეტის – ისო/ტკ 37, ენა და ტერმინოლოგია, ქვეკომიტეტი (ქკ)-1-ის (პრინციპები და მეთოდები) – მიერ.

წინამდებარე მეოთხე გამოცემა აუქმებს და ანაცვლებს მესამე გამოცემას (ისო 704:2009), რომელიც ტექნიკურად გადამუშავდა.

დოკუმენტში შეტანილია შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- სტრუქტურა და შინაარსი მიღებულია ისო 1087-ის საფუძველზე;
- ცნებათა მოდელი შემოღებულია ისო 24156-1-ის შესაბამისად;
- გაფართოვდა ნაწილები ცნებათა ასოციაციური ურთიერთობების შესახებ;
- უფრო ამომწურავად და სისტემატურად დამუშავდა დასახელებები და საკუთარი სახელები;
- აუცილებლობის შემთხვევაში გადაკეთდა ან ჩანაცვლდა არსებული მაგალითები, ამასთან, დაემატა ახლები.

წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით ნებისმიერი უკუკავშირის სურვილის ან შეკითხვების გაჩენის შემთხვევაში უნდა მიმართოთ მომხმარებლის სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს. ამ ორგანოების სრული სიის ნახვა შესაძლებელია მისამართზე:

www.iso.org/members.html

შესავალი

0.1 ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ტერმინოლოგიური მუშაობის თანამედროვე პრინციპებსა და მეთოდებს. ისო 1087:2019, 3.5.1-ის თანახმად, ტერმინოლოგიური მუშაობა არის „მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია ცნებებისა და მათი სახელების სისტემატურ შეგროვებასთან, აღწერასთან, დამუშავებასა და წარდგენასთან“ სხვადასხვა დარგსა თუ დისციპლინაში. იგი მრავალდისციპლინურია და მოიცავს სხვადასხვა დარგს (მაგ., ლოგიკას, ეპისტემოლოგიას, მეცნიერების ფილოსოფიას, ლინგვისტიკას, თარგმანთმცოდნეობას, ინფორმატიკას, შემეცნებით მეცნიერებას). მასში კომბინირებულია მრავალი თეორიული მიდგომის ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულია ცოდნის აღწერასთან, მართვასა და გადაცემასთან.

ტერმინოლოგიური მუშაობა, წინამდებარე დოკუმენტის თანახმად, ეხება ტერმინოლოგიას, რომელიც გამოიყენება არაორაზროვანი კომუნიკაციისთვის ბუნებრივ ენაზე, კერძოდ, სპეციალურ ენებზე. ამდენად, ტერმინოლოგიური მუშაობის მიზანი, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე დოკუმენტში, არის ადამიანებს შორის კომუნიკაციისთვის განკუთვნილი ტერმინოლოგიის განმარტება და სტანდარტიზაცია. ტერმინოლოგიურმა მუშაობამ შეიძლება, ასევე, ხელი შეუწყოს ცოდნის, ინფორმაციულ მონაცემთა მოდელირებასა და კლასიფიკაციას, მაგრამ წინამდებარე დოკუმენტი არ მოიცავს აღნიშნულ სფეროებს.

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს ტერმინოლოგიური მუშაობისათვის არსებითი ელემენტების სტანდარტიზაციას. წინამდებარე საერთაშორისო დოკუმენტის ძირითადი მიზნებია ზოგადი თეორიული ჩარჩოს უზრუნველყოფა და ახსნა, თუ როგორ უნდა დაინერგოს ეს ჩარჩო ტერმინოლოგიურ მუშაობაში მონაწილე ორგანიზაციის ან პირების მიერ. წინამდებარე დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს საფუძვლებს ტერმინოლოგიური მეცნიერების სწავლებისა და ტრენინგისათვის, კერძოდ, ტერმინოლოგთა ან ტერმინოლოგიის საკითხებზე მომუშავე პირთა ტრენინგისათვის.

ამდენად, წინამდებარე დოკუმენტი გამიზნულია, როგორც დამხმარე საშუალება იმ პირებისათვის, რომლებიც ეწევიან ტერმინოლოგიურ მუშაობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას. ამ პრინციპებისა და მეთოდების დაცვა აუცილებელია არა მხოლოდ ტერმინოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისას, არამედ ტერმინოლოგიის მართვასთან დაკავშირებით საჭირო დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

VIII

მთავარი ქმედებები მოიცავს შემდეგს (მაგრამ არ შემოიფარგლება მარტო ამით):

- ცნებათა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების გამოვლენა;
- ცნებათა ველების ანალიზი და სტრუქტურირება დადგენილი ცნებებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებების საფუძველზე;
- ცნებათა სისტემების ანალიზი და შემუშავება ცნებათა ველების საფუძველზე;
- ცნებათა სისტემების ვიზუალიზაცია, მაგალითად, ცნებათა ტრადიციული დიაგრამების ან მოდელირების უნიფიცირებულ ენაზე დაფუძნებული მოდელების საშუალებით;
- ცნებათა განმარტება;
- ცნებებისთვის ლინგვისტური და არალინგვისტური აღნიშვნების მინიჭება;
- ტერმინოლოგიური რესურსების შექმნა და წარმოება უმთავრესად ბეჭდური და ელექტრონული მედიასაშუალებებით (ტერმინოგრაფია).

საგნები, ცნებები, განმარტებები და აღნიშვნები არსებითია ტერმინოლოგიური მუშაობისათვის და ამიტომ ისინი ქმნიან წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის საფუძველს. საგნები წარმოდგენილი და განზოგადებულია ცნებებში. ეს უკანასკნელი კი წარმოდგენილია სახელების ან/და განმარტებების სახით. ერთი სპეციალური ენისთვის დამახასიათებელი სახელებისა და ცნებების ერთობლიობა ქმნის კონკრეტული დარგის ან სასწავლო დისციპლინის ტერმინოლოგიას.

საგნებზე, ცნებებზე, განმარტებებსა და სახელებზე მითითებების თანამედროვე მიდგომების შესაბამისად განხორციელებისათვის წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია შემდეგი ვერბალური პირობითი აღნიშვნები:

- საგნები
 - **აღიქმება ან წარმოგვიდგება;**
 - **განზოგადდება ან კონცეპტუალიზდება** ცნებებში.
- ცნებები
 - **ასახავს ან შეესაბამება** საგნებს ან საგანთა ჯგუფს;
 - **წარმოდგენილი ან გამოხატულია** ლინგვისტური ან არალინგვისტური სახელების ან განმარტებების საშუალებით;
 - **დაკავშირებულია** ცნებათა ურთიერთობების საშუალებით და **ორგანიზებულია** ცნებათა სისტემებად, რომლებიც **სტრუქტურულად არის მოწყობილი** ცნებათა ურთიერთობების შესაბამისად.
- განმარტებები
 - **განსაზღვრავს, წარმოადგენს ან აღწერს** ცნებებს.
- სახელები
 - **აღნიშნავს ან წარმოადგენს** ცნებას;
 - **ენიჭება** ცნებას;

0.2 აღნიშვნები

წინამდებარე დოკუმენტის ძირითად ტექსტში გამოიყენება აღნიშვნები მე-4 თავიდან:

- ისო 1087-ში განსაზღვრული ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები წარმოდგენილია დახრილი ასოებით;
- სხვა ტერმინები და საკუთარი სახელები ჩასმულია ორმაგ ბრჭყალებში;
- საგნები, ცნებები, თვისებები, მახასიათებლები, მახასიათებელთა სახეები და დაყოფის კრიტერიუმები ჩასმულია ერთმაგ ბრჭყალებში;
- მაგალითები მოთავსებულია ცხრილებში;
- სიმბოლოებს არ გააჩნია რაიმე კონკრეტული ნიშანდება.

ამ აღნიშვნების მიზანია განსხვავების აღქმის გაადვილება მთელ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ სხვადასხვა სახის მითითებასა და სხვა ტექსტს შორის.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული მაგალითები შერჩეულია მხოლოდ საილუსტრაციოდ და დამახასიათებელია განსახილველი ენ(ებ)ისათვის. სხვა ენებზე თარგმნისას შესაძლოა აუცილებელი გახდეს განსხვავებული მაგალითების შერჩევა ამ დებულების თვალსაჩინოებისთვის.